საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/92 " 17 " ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. თუნაურის ფოთის საქალაქო სასამართლოს
მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, გიორგი თუნაური 2021 წლის 18 ივნისიდან გამწესდეს ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

გიორგი თუნაურის ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვლის №1/6 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2021 წლის 23 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 19 კანდიდატი.

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის გიორგი თუნაურზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[2] მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2021 წლის 29 მარტს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

გიორგი თუნაურს აქვს სპეციალობით მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვამდე იგი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე.

გიორგი თუნაური იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-15 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გიორგი თუნაურმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. კანდიდატი იყო დისციპლინირებული მსმენელი.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ გიორგი თუნაურს გაესაუბრნენ 2021 წლის 20 მაისს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2021 წლის 7 ივნისიდან 11 ივნისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა კანდიდატი გიორგი თუნაური შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

გიორგი თუნაურის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 11-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრთა მიერ გიორგი თუნაურის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1030 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 85.83%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2021 წლის 17 ივნისს ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 12-მა წევრმა მიიღო, გიორგი თუნაურმა მოიპოვა 10 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილ იქნა 2 კანდიდატი, მათგან 1 ყოფილი მოსამართლე და 1 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. თუნაური გიორგი - 10 ხმა
2. ცეცხლაძე ნარგიზ - 0 ხმა

2 ბიულეტენი გაბათილდა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის გიორგი თუნაურის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა გიორგი თუნაური.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი